



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 50
30/07/2019

50-09-4-201907301738




თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
შ.პ.ს. „ლოპოტასათვის“ დროებით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის
წესით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „ლოპოტას“ (ს/კ 431176817) პირდაპირი განკარგვის წესით, ქირავნობის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული ელექტრო ავტომობილი (ავტობუსი) დანართის შესაბამისად.
2. ქირავნობის წლიური საფასური 1 (ერთი) ერთეული ელექტრო ავტომობილით სარგებლობისათვის განისაზღვროს 2400 (ორჩათას ოთხასი) ლარით.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე




საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



სარგებლობის უფლებით გადასაცემი მოძრავი ქონება

№	ელექტრო ავტომობილის (ავტობუსი) მახასიათებლები	გამოშვების წელი	სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი
1	მარკა - „WOSEN“ მოდელი - WS-FB14 ფერი - მწვანე	2012	AA-496-XX
2	მარკა - „WOSEN“ მოდელი - WS-FB14 ფერი - თეთრი	2012	AA-493-XX
3	მარკა - „WOSEN“ მოდელი - WS-FB14 ფერი - თეთრი	2012	AA-519-XX

არჩილ თხლამიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო